

გამოყენების ინსტრუქცია
ლუგოლის ხსნარი გლიცერინით
(LUGOL SOLUTION WITH GLYCERIN)



შემადგენლობა

აქტიური ნივთიერება:

1გ ხსნარი შეიცავს 10მგ იოდს, კალიუმის იოდიდს 20მგ;

დამხმარე ნივთიერებები:

გასუფთავებული წყალი, გლიცერინი;

წამლის ფორმა: გარეგანი გამოყენების ხსნარი; გამჭირვალე სიროფის მსგავსი რუხი-წითელი ფერის, იოდის სუნით;

მწარმოებელი

ღსს „ტერნოპოლი“

უკრაინა, 46010, ქ. ტერნოპოლი, ფაბრიჩნაიას ქ. 4

ტელ/ფაქსი: (0352) 521-444, <http://www.ternopharm.com.ua>

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ყელის დაავადებების დროს გამოსაყენებელი საშუალებები;
ATC R02A A20.

ლუგოლის ხსნარს გლიცერინით გააჩნია ბაქტერიციდული მოქმედება მასში შემავალი თავისუფალი იოდის გამო. პრეპარატს ახასიათებს ანტიმიკრობული მოქმედება გრამდადებით და გრამუარყოფით ბაქტერიებზე, მათ შორის სტრეპტოკოკებზე, სტაფილოკოკებზე, ნაწლავურ ჩხირზე, კლებსიელაზე, ვულგალურ პროტეიზე;

ჩვენება: ყელის ლორწოვანი გარსის ანთებითი პროცესები: ლარინგიტი, ტონზილიტი, ფარინგიტი;

უკუჩვენება: პრეპარატში შემავალი კომპონენტების მიმართ მომატებული მგრძობელობა. თირკმლისა და ღვიძლის მძიმე დაავადებები. ორსულობისა და ძუძუთი კვების პერიოდი. ბავშვთა ასაკი 5 წლამდე.

სიფრთხილე გამოყენების დროს: დაუშვებელია პრეპარატის თვალში მოხვედრა; არ დაარღვიოთ პრეპარატის გამოყენების წესები, ასეთმა ქმედებამ შეიძლება ავნოს თქვენს ჯანმრთელობას.

განსაკუთრებული სიფრთხილე

გამოყენება ორსულობისა და ლაქტაციის დროს: პრეპარატის გამოყენება ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში უკუნაჩვენებია.

გავლენა ტრანსპორტისა და მექანიზმებთან მუშაობის უნარზე: გავლენას არ ახდენს.

